საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/46

ქ. ბათუმი 13-მაისი, 2020 წ

,,2020 წლის მაისში ბსუ-ს სტუდენტური საუნივერსიტეტო კონფერენციის ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 26 ნოემბრის N01-02/188 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,ბსუ-ში სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წამომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის გოჩა სურგულაძის 2020 წლის 23 მარტის N314408 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,2020 წლის მაისში ბსუ-ს სტუდენტური საუნივერსიტეტო კონფერენციის ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 26 ნოემბრის N01-02/188 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის ,,დ“ - ,,მ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,დ) სტუდენტთა მიერ სამეცნიერო ნაშრომის, ნაშრომის ორიგინალობის (პლაგიატის არარსებობის შესახებ) და სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნის (წინამდებარე წესთა შესაბამისობის შესახებ) განთავსება/დარეგისტრირება სტუდენტურ პორტალზე - **2019 წლის 28 დეკემბრიდან 2020 წლის 15 მაისის ჩათვლით;**

   ე) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ სტუდენტურ პორტალზე განთავსებული სტუდენტთა ნაშრომების ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად მიწოდება შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტებისათვის - არაუგვიანეს **2020 წლის 18 მაისისა;**

   ვ) სამეცნიერო ნაშრომების შეფასება შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტების მიერ (სამეცნიერო ნაშრომების შეფასების I ეტაპი -

კონფერენციაზე წარდგენის შემთხვევაში საერთო შეფასების 3/5-ის (30 ქულის) ფარგლებში) – **2020 წლის 19 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით;**

ზ) დარგობრივი დეპარტამენტების მიერ შეფასებული ნაშრომების (თითოეული დარგობრივი დეპარტამენტიდან არანაკლებ 5 და არაუმეტეს 10 ნაშრომის) შესახებ ინფორმაციის (მინიჭებული ქულების მითითებით) ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა - **არაუგვიანეს 2020 წლის 27 მაისისა;**

თ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის კოორდინირებული მუშაობით დარგობრივი დეპარტამენტებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება და დარგობრივი მიმართულებების მიხედვით არაუმეტეს 10 საუკეთესი ნაშრომის გამოვლენა (შეირჩევა ის ნაშრომები, რომელთაც დარგობრივი დეპარტამენტის 3-წევრიანი კომისიის შეფასების მიხედვით მიღებული აქვთ არანაკლებ 16 ქულა. საუკეთესო ნაშრომები შეირჩევა რიგითობით ზემოდან ქვემოთ, 30-დან 16 ქულამდე) - **არაუგვიანეს 2020 წლის 28 მაისისა;**

ი) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ წინამდებარე დებულებისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით კონფერენციის პროგრამის შედგენა და განთავსება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და სტუდენტურ პორტალზე. პროგრამაში უნდა მიეთითოს თითოეული სექციის მუშაობის დრო და ადგილი (**სექცია იქმნება** სამეცნიერო დარგის/მიმართულების მიხედვით, თუ წარმოდგენილია მინიმუმ 5 სამეცნიერო ნაშრომი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეცნიერო ნაშრომი დარეგისტრირდება მომიჯნავე სამეცნიერო დარგის სექციაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში) – **არაუგვიანეს 2020 წლის 29 მაისისა;**

კ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის კოორდინირებული მუშაობით კონფერენციის **საორგანიზაციო კომიტეტისა** და კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომების შემფასებელი კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის აქტის პროექტის მომზადება და წარდგენა - **არაუგვიანეს 2020 წლის 2 ივნისისა;**

ლ) კონფერენციის გამართვა, კონფერენციაზე საჯაროდ წარმოდგენილი ნაშრომების შესაბამისი კომისიის მიერ შეფასება და კომისიის ოქმის ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა - **2020 წლის 6-7 ივნისი;**

მ) კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომების შემფასებელი კომისიის ოქმის საფუძველზე სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ კონფერენციის მონაწილე სტუდენტების დაჯილდოების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა – **არაუგვიანეს 2020 წლის 9 ივნისისა.**

2. ბრძანება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე („კონკურსების“, სტუდენტური პროექტებისა და სამართლებრივი აქტების ველში).

3. ბრძანება გასაცნობად და არსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსხურსა და იურიდიულ დეპარტამენტს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**